საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ OC234085 15 05 2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.12.1.037.115 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შორენა არჩვაძე, პ/ნ 01012024660) მისამართი: ცოტნე დადიანის ქ.N263/ ზედაზენის ქ.N4 კორპუსის მიმდ.) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR1964760 განაცხადის შესაბამისად გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**) შეთანხმებული პროექტის მიხედვით. ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ერეკლე ვაშაყმაძე

კორპორატიული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75302340561723

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230410722

რეგისტრაციის თარიღი

30.03.2023 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ზე, ნოტარიუსი, ირმა შარვაძეს შემცვლელი პირი მარიამ გინტური, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 21.02.2023 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N230224510 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ერეკლე ვაშაყმაძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), **ერეკლე ვაშაყმაძეს** (პირადი ნომერი: 01017039738; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, დეპოზიტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2 და 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 ქვეპუნქტში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/ შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებისა.

3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:

3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;

3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებსა;

3.3. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

რწმუნებულება გაცემულია 2024 წლის 1 აპრილამდე.

მარწმუნებელი

ზურაბ ქოქოსაძე _____

ნოტარიუსი _____

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

ერთის მხრივ, შპს „ლივინ დეველოპმენტი“ (ს.ნ 400235027) რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც ,,მესაკუთრე,'' წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა წერეთელის (პ.ნ 01026011923) სახით, გადასცემს სს „თელასს“, (ს.კ № 202052580) წარმოდგენილს გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის (პ.ნ 75 6925332; პირადი N01591002308) სახით, რომელიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც ,,უზუფრუქტუარი'', უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იღებს მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ უძრავი ნივთის ნაწილს, მდებარეს ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. N263/ზედაზენის ქ. N4 კორპუსის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი: 01.12.11.037.115, შპს „ლივინ დეველოპმენტი“ - ის საკუთრებაში არსებულ 12808,00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 55 კვ.მ ფართს, 49 წლის ვადით, რაც თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნულია ყვითელი ფერით.

უზუფრუქტის საგანზე მესაკუთრის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N8820222553772 მომზადების თარიღი 20/04/2022 წელი.

უზუფრუქტის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, უზუფრუქტუარმა მოიწონა მისი მდგომარეობა და ხარისხი.

უზუფრუქტის საგანი უზუფრუქტუარის მიერ გამოყენებულ იქნება მხოლოდ ელ. ენერგიის ტრანსფორმატორის განსათავსებლად.

მიწის მესაკუთრე თანახმაა საჭიროების შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან ენერგოობიექტის

Договор о безвозмездном узуфрукте

Стороны настоящего Договора согласились о следующем:

С одной стороны, ООО «Ливин Девелопмент» (ИНН 400235027), далее - Собственник, в лице Директора Мамуки Церетели (ЛН 01026011923), передаёт АО «Теласи» (ИНН 202052580), в лице Генерального директора Сергея Кобцева (НП 75 6925332; личный N01591002308), далее - Узуфруктуарий, часть участка земли в 55 кв.м из 12808,00 кв.м принадлежащего Собственнику, ООО «Ливин Девелопмент», недвижимого имущества, расположенного в городе Тбилиси, ул. Цотне Дадиани №263/ул. Зедазени, территория, прилегающая к корпусу №4; кадастровый код: 01.12.11.037.115; для обременения безвозмездным узуфруктом сроком на 49 лет, отмеченные желтым цветом на прилагаемом ситуационном чертеже.

Право собственности Собственника на предмет узуфрукта подтверждается выпиской из Публичного реестра №8820222553772, дата подготовки: 20/04/2022 года.

Качество предмета узуфрукта согласовано между сторонами, Узуфруктуарий одобрил его состояние и качество.

Предмет узуфрукта будет использован Узуфруктуарием исключительно для размещения трансформатора эл. энергии.

В случае необходимости, Собственник земли согласен, чтобы получение разрешения от соответствующих Служб Мэрии г. Тбилиси

ნთავსებაზე თანხმობის მოპოვება დაევალოს უზუფრუქტუარს. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული თანხმობის გარეშე მოხდება ენერგოობიექტის განთავსება უზუფრუქტუარი თავად არის პასუხისმგებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მოსარგებლის ან/და მესამე პირების მიმართ მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე/ზარალზე/ჯარიმაზე/გაწეულ ხარჯებზე.

მესაკუთრე ვალდებულია არ შეუზღუდოს უზუფრუქტუარს უზუფრუქტის საგანთან წვდომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ენერგოობიექტის გამართული ფუნქციონირება.

მესაკუთრემ, უზუფრუქტუარის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში უნდა გასცეს თანხმობა უზუფრუქტის საგანზე არსებულ ენერგობიექტზე მომხმარებლების დაერთების თაობაზე.

ანტიკორუფციული დათქმა:

შპს „ლივინ დეველოპმენტი“- ისათვის ცნობილია იმის შესახებ, რომ სს „თელასი“ აწარმოებს ანტიკორუფციულ პოლიტიკას და ავითარებს კულტურას, რომელიც აღკვეთს კორუფციულ გამოვლინებებს.

წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მხარეები, მათი აფილირებული პირები, მუშაკები ან შუამავლები არ იხდიან, არ სთავაზობენ გადახდას და არ აძლევენ რაიმე სახის ფულად სახსრებს ან ფასეულობების გადახდის ნებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერ პირებს, გავლენის მოსახდენად ამ პირების ქმედებებზე ან გადაწყვეტილებებზე რაიმე სახის არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით ან სხვა არამართლზომიერი მიზნით.

на установку энергообъекта было поручено Узуфруктуарию. В случае, если энергообъект будет размещен без указанного разрешения, ответственность за любого рода ущерб/потери/штраф/понесенные расходы перед Собственником земельного участка/пользователем, и/или третьими лицами несет Узуфруктуарий.

Собственник обязуется не ограничивать доступ Узуфруктуария к предмету узуфрукта для осуществления исправного функционирования энергообъекта.

Собственник, в случае требования Узуфруктуария, должен выдать в разумный срок разрешение на подсоединение потребителей к энергообъекту, установленному на предмете узуфрукта.

Антикоррупционная оговорка:

ООО «Ливин Девелопмент» известно о том, что АО «Теласи» ведет антикоррупционную политику и развивает культуру, не допускающую коррупционных проявлений.

При исполнении своих обязательств по настоящему Договору, стороны, их аффилированные лица, работники или посредники, не выплачивают, не предлагают выплатить и не разрешают выплату каких- либо денежных средств или ценностей, прямо или косвенно, любым лицам, для оказания влияния на действия или решения этих лиц с целью получить какие-либо неправомерные преимущества или иные неправомерные цели.

წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მხარეები, მათი აფილირებული პირები, მუშაკები ან შუამავლები არ ახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის გამოყენებული კანონმდებლობით კვალიფიცირებულია, როგორც ქრთამის მიცემა/აღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებებს, რომლებიც არღვევს გამოყენებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების), კორუფციის წინააღმდეგობის შესახებ.

ამ შემთხვევაში, თუკი მხარეს უჩნდება ეჭვი, რომ კონტრაგენტი მხარის და (ან) მისი წარმომადგენლის, და (ან) მუშაკის და (ან) აფილირებული პირის მხრიდან მოხდა ან შეიძლება მოხდეს წინამდებარე პუნქტის რომელიმე დებულების დარღვევა, შესაბამისი მხარე ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით და შეტყობინების ასლი გაგზავნოს ამ მხარის ცხელ ხაზზე (კონტრაგენტი: ------, თელასი: 2779999).

მხარეს, რომელმაც გაგზავნა წერილობითი შეტყობინება, უფლება აქვს, შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვიდრე არ მიიღებს დასტურს მეორე მხარისგან, რომ დარღვევა არ მომხდარა ან არ მოხდება. მხარემ, რომელმაც მიიღო აღნიშნული შეტყობინება, ეს დასტური უნდა გაუგზავნოს ამ შეტყობინების გამომგზავნ მხარეს, ზემოაღნიშნული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში.

წერილობით შეტყობინებაში მხარე უნდა

При исполнении своих обязательств по настоящему Договору, Стороны, их аффилированные лица, работники или посредники, не осуществляют действия, квалифицируемые законодательством, применимым для целей настоящего Договора, как дача/получение взятки, коммерческий подкуп, а также действия, нарушающие требования применимого законодательства и международных актов о противодействии коррупции легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем.

В случае возникновения у Стороны подозрений, что со Стороны-контрагента и (или) его представителя, и (или) работника, и (или) его аффилированного лица произошло, или может произойти, нарушение каких-либо положений настоящего пункта, соответствующая Сторона обязуется незамедлительно уведомить о данном обстоятельстве другую Сторону в письменной форме и продублировать уведомление на «горячую линию» этой Стороны (Контрагент: ----------, Теласи: 2779999).

Сторона, направившая письменное уведомление, имеет право приостановить исполнение обязательств, взятых в соответствии с настоящим договором, пока не получит подтверждение от другой стороны о том, что нарушение не произошло или не произойдет. Сторона, получившая указанное уведомление должна направить это подтверждение в адрес стороны направившей его, в течение семи рабочих дней с даты получения вышеуказанного письменного уведомления.

В письменном уведомлении Сторона

აეყრდნოს ფაქტებს ან წარმოადგინოს ასალები, რომლებიც სარწმუნოდ ადასტურებს ან საფუძველს იძლევა ვარაუდისა, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს წინამდებარე პუნქტის რომელიმე დებულების დარღვევა კონტრაგენტი მხარის, მისი აფილირებული პირების, მუშაკების ან შუამავლების მხრიდან, რაც გამოიხატება ქმედებებში, რომლებიც გამოყენებული კანონმდებლობით კვალიფიცირებულია, როგორც ქრთამის მიცემა ან აღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებები, რომლებიც არღვევს გამოყენებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების), კორუფციის წინააღმდეგობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუკი ერთი მხარე დაარღვევს ვალდებულებას, თავი შეიკავოს აღნიშნული ხელშეკრულებით აკრძალული ქმედებებისაგან და/ან მეორე მხარე არ მიიღებს იმავე პუნქტით დადგენილ ვადაში დასტურს, რომ დარღვევა არ მომხდარა ან არ მოხდება, მეორე მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, მისი მოშლის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. მხარე, რომლის ინიციატივითაც მოხდა წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა წინამდებარე პუნქტის დებულებების შესაბამისად, უფლებამოსილია, მოითხოვოს რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელიც დადგა ამგვარი მოშლის შედეგად, იმ პირობით, თუკი წარმოადგენს ამგვარი რეალური ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე უზუფრუქტის ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო

обязана сослаться на факты или предоставить материалы, достоверно подтверждающие или дающие основание предполагать, что произошло или может произойти нарушение каких-либо положений настоящей статьи/пункта Стороной-контрагентом, его аффилированными лицами, работниками или посредниками, выражающееся в действиях квалифицируемых применяемым законодательством, как дача или получение взятки, коммерческий подкуп, а также действиях, нарушающих требования применимого законодательства и международных актов о противодействии коррупции, легализации доходов, полученных преступным путем.

В случае нарушения одной Стороной обязательств воздерживаться от запрещенных действий настоящего Договора, и/или неполучения другой Стороной в установленный тем же пунктом срок подтверждения, что нарушения не произошло или не произойдет, другая Сторона имеет право расторгнуть Договор в одностороннем порядке, направив письменное уведомление о его расторжении. Сторона, по чьей инициативе был расторгнут настоящий Договор в соответствии с положениями настоящего пункта, вправе требовать возмещения реального ущерба, возникшего в результате такого расторжения, при условии представления подтверждающих такой реальный ущерб документов.

Отношения между сторонами регулируются как условиями настоящего Договора, так и нормами Гражданского кодекса Грузии, регулирующего договор об узуфрукте. Спор, возникший между сторонами, решается путем


...დექსის ნორმების საფუძველზე. მხარეთა ...ორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, კანონით დადგენილი წესით.	взаимного соглашения. В случае невозможности достижения соглашения, спор рассматривает суд в установленном законом порядке.
წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთან ორი გადაეცემათ მხარებს, ხოლო მესამე წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს კანონმდებლობით დადგენილინ წესით რეგისტრაციის მიზნით.	Настоящий Договор составлен в трех юридически равноценных экземплярах на грузинском и русском языках, из которых два передаются сторонам, а третий - ЮЛПП Национальное агентство Публичного реестра с целью регистрации в установленном законом порядке.
ტექსტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.	В случае обнаружения несоответствия между текстами, предпочтение присваивается тексту на грузинском языке.
ხელშეკრულების პირობები სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:	Условия Договора полностью соответствуют и выражают волю сторон, что подтверждаем подписями сторон:
შპს „ლივინ დეველოპმენტი“ (ს.ნ 400235027)	ООО «Ливин Девелопмент» (ИНН 400235027)
დირექტორი	Директор
მამუკა წერეთელი (პ.ნ 01026011923)	Мамука Церетели (ЛН 01026011923),
უზუფრუქტუარი: სს „თელასი“ (ს/კ 202052580)	Узуфруктуарий: АО «Теласи» (ИНН 202052580)
გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი	Генеральный директор Сергей Кобцев
(პ.ნ 75 6925332; პირადი N01591002308)	(НП 75 6925332; личный N01591002308)

6

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

...ტრო კოდი:	**01.12.11.037.115**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
...დების ნომერი:	**882021386927**	ფართობი:	**12808 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
...დების თარიღი:	**20/05/2021**	ვალდებულების ფართობი :	**742 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221438647
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.10.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა ცხადაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	75570366550622

დღეს, ორიათას ოცდაორი წლის ოცდაერთ ოქტომბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, მომმართა ბატონმა ზაზა აზარაშვილმა (დაბადების თარიღი:16.10.1976, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, მისამართი: თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 49, პირადი ნომერი: #01002026605) რომელმაც განაცხადა, რომ სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და მას როგორც სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს საზოგადოების სახელით სურს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ნამდვილობის დადასტურება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვანის ქ. #3. მე ვეახელი სერგეი კობცევს აღნიშნულ მისამართზე და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა წინამდებარე ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დადასტურება. მას განემარტა წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. სერგეი კობცევმა ყოველივე ზემოთქმული განაცხადა რუსულ ენაზე. განაცხადა ასევე, რომ რომ ის არ ფლობს ხელშეკრულების შედგენისას გამოყენებულ სახელმწიფო ენას და დამწერლობას, მისი სურვილით ქართული ენიდან რუსულ ენაზე ხელშეკრულების ტექსტის გადასათარგმნად მოწვეული იქნა მის მიერ შერჩეული თარჯიმანი თინათინ პაატაშვილი. მე დავადგინე თარჯიმნის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თინათინ პაატაშვილმა (დაბ. 29.07.1965 წ. პირადი #01020001514, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ზედამზის ქ. მე-2 შესახვევი #12) მიიღო მონაწილეობა ხელშეკრულების ტექსტის გადათარგმნაში; თინათინ პაატაშვილმა განაცხადა, რომ ფლობს რუსულ ენას და ჯეროვნად უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების თარგმანს. მან თანხმობა განაცხადა თარჯიმნად ყოფნაზე და გამორიცხა თარჯიმნად ყოფნის არარსებობის დამადასტურებელი გარემოება, წარმოადგინა თავის სახელზე გაცემული დიპლომი ФВ-I #067874 გაცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) და განაცხადა რომ იძლევა ზუსტი თარგმანის გარანტიას. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს სერგეი კობცევს (დაბადების თარიღი: 17 დეკემბერი 1972 წელი, დაბადების ადგილი: რუსეთი, პასპორტის ნომერი 75 6925332,პასპორტი გაცემულია მსს 50001 მიერ 12.02.2018 წ, პირადი #01591002308) დავუდასტურე ხელისმოწერის სინამდვილე მათ მიერ შედგენილ და წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მათ განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავიანთი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მათ განაცხადეს, რომ ხელშეკრულებაზე მათი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ-რუსულ ვარიანტად და წარმოდგენილი თითო ხუთ /05/ გვერდზე, სერგეი კობცევმა და თინათინ პაატაშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ყველა გვერდზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესრულებულია და დოკუმენტი გაცემულია სამ /03/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: გადასახდელია სულ ასსამოცი ლარი 00 თეთრი. /160.00/, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა თითოეული ხელმოწერისათვის ოთხი /4.00/ ლარი და 00 თეთრი, რაც ჯამში შეადგენს ასორმოცდათხუმეტ ლარს 00 თეთრს. /155.00/, შენობის გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ოცდათხუთმეტი ლარი 00 თეთრი. /35.00/ და 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური.

მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის

ისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს და თარჯიმანს თინათინ პაატაშვილს ეკუთვნით.
ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230468723
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.04.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლუიზა ცხადაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2943164 599535661**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	64730618918623

დღეს, ორიათას ოცდასამი წლის თორმეტ აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, ვადასტურებ საქართველოს მოქალაქის ბატონ მამუკა წერეთელის (დაბადებული:03 სექტემბერი 1985, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი,
მისამართი:თბილისი სულხან ცინცაძის ქ. N12, ბლოკი X ბ. 15-03, პირადი: 01026011923) ხელმოწერის სინამდვილეს მის მიერ წარმოდგენილ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაზე, მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მამუკა წერეთელმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ ხელშეკრულებაზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე, ხელმოწერა დადასტურდა ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტზე. მოცემულ დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია თითო ხუთ /05/ გვერდზე და დოკუმენტი გაცემულია 3 /სამ/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: სულ გადასახდელია სამოცდახუთი ლარი 00 თეთრი /65.00/ საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა თითოეული ხელმოწერისათვის ოთხი /4.00/ ლარი და 00 თეთრი, რაც ჯამში შეადგენს სამოც ლარს /60.00/ და 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, /5.0/ ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური.
მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად მამუკა წერეთელს ეკუთვნის.
ნოტარიუსი: ლუიზა ცხადაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

